**ქალაქ თბილისის საკრებულოს**
**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი №12**

12 ივნისი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;

**სხდომის დღის წესრიგი:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03181484-03; 28.05.2018)

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

**მომხსენებლები**:

- **მერაბ მამულაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**თ.ისაკაძე** - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში.

**მ.მამულშვილი** - წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს. დადგენილებაში ცვლილებები გამოიწვია სხვადასხვა ფაქტორებმა. კერძოდ, ქუჩების სახელდების ცვლილებებმა. ასევე მოქალაქეთა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების განცხადებებმა. მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას სჭირდება 170 ავტობუსი, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ამ ეტაპისთვის არსებული რესურსი ამის საშულებას არ გვაძლევს. გამომდინარე აქედან, „MAN"-ის მარკის ავტობუსებით უკვე განხორციელებული ჩანაცვლებების შედეგად გამონთავისუფლებული მოძრავი შემადგენლობების (დიდი და საშუალო ტევადობის „ბოგდანი"-ს მარკის ავტობუსები) ნაწილის გადანაწილება მოხდება გარკვეულ მარშრუტებზე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, არსებულ მარშრუტებს მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ემატება 7 ახალი მარშრუტი და ხდება გარკვეული მარშრუტების კორექტირება, კერძოდ:

1. **№57 მარშრუტი:** - მარშრუტის მოძრაობა გათვალისწინებულია გრიგოლ ვოლსკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიიდან, რომელიც გაივლის ორთაჭალის ქუჩას და მგზავრებს მოემსახურება ნავთლუღის ბაზრის მიმართულებით სამგორის ქუჩამდე, ასევე უზრუნველყოფს მგზავრების მომსახურებას უახლოეს მეტროსადგურამდე (მ/ს „ისანი").

2. **№58 მარშრუტი:** - მარშრუტის მოძრაობა გათვალისწინებულია ვაკის პარკის სასაფლაოდან სულხან ცინცაძის ქუჩის გავლით შოთა რუსთაველის გამზირისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით. ავტობუსი ივლის 20 წუთიანი ინტერვალით.

3. **№63 მარშრუტი:** - მარშრუტის მოძრაობა გათვალისწინებულია მ/ს „დელისის" მიმდებარე ტერიტორიიდან ნუცუბიძის მე-4 მ/რაიონში.

4. **№64 მარშრუტი:** - აღნიშნული მარშრუტი მოიცავს 360-ე კმ-ის დასახლების (ჯამბულ წურწუმიას ქ.) და სადგურ ველის სატრანსპორტო მომსახურების საკითხს. მარშრუტს მოემსახურება 1 ავტობუსი. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობა ამ ეტაპამდე გარდაბნიდან მომავალი ტრანსპორტით სარგებლობდა.

5. **№67 მარშრუტი:** - აღნიშნული მარშრუტი მოიცავს მეტრომშენის დასახლების მომსახურებას ნავთლუღის ბაზრის მიმართულებით.

6. **№74 მარშრუტი:** - აღნიშნული მარშრუტი გათვალისწინებულია ფეიქართა ქუჩის სატრანსპორტო მომსახურებისთვის მ/ს „ღრმაღელე"-ს და მ/ს „სარაჯიშვილის" მიმართულებით.

7. **№76 მარშრუტი:** - აღნიშნული მარშრუტი გათვალისწინებულია მუხიანის მე-4 „ბ“ მ/რაიონის სატრანსპორტო მომსახურებისთვის მ/ს „ახმეტელის თეატრამდე“.

8. **№76 მარშრუტი:** - აღნიშნული მარშრუტი გათვალისწინებულია მუხიანის მე-4 „ბ“ მ/რაიონის სატრანსპორტო მომსახურებისთვის მ/ს „ახმეტელის თეატრამდე“.

განხორციელდება ავტობუსის დამატება ზოგიერთ მარშრუტზე. კერძოდ, №31 მარშრუტს დაემატა 2 ერთეული, №44 მარშრუტს დაემატა 2 ერთეული და ინტერვალი შემცირდა 7 წუთამდე, №1 მარშრუტს დაემატა 1 ერთეული, №28 მარშრუტს დაემატა 1 ერთეული, №30 მარშრუტს დაემატა 1 ერთეული და ინტერვალი 45 წუთიდან შემცირდა 30 წუთამდე, №45 მარშრუტს დაემატა 1 ერთეული და ინტერვალი გახდა 20 წუთიანი, №108 მარშრუტს დაემატა 1 ერთეული.

მარშრუტებში განხორციელებული ცვლილების შედეგად შეიქმნა 65 ახალი სამუშაო ადგილი მძღოლებისათვის.

**თ.ისაკაძე** - აღსანიშნავია, რომ კომისიას აქვს რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შენიშვნა. კერძოდ:

- N33 და N59 ავტობუსების მარშრუტებში ვარდების რევოლუციის მოედნის ნაცვლად, უნდა მიეთითოს პირველი რესპუბლიკის მოედანი;
- N9, N13, N21, N24 და N150 ავტობუსების მარშრუტებში სუ-ის საერთო საცხოვრებელის ნაცვლად უნდა მიეთითოს თსუ-ს საერთო საცხოვრებელი;
- N6, N31, N42, N52, და N87 ავტობუსების მარშრუტებში სულიკო ვირსალაძის ნაცვლად უნდა მიეთითოს სოლიკო ვირსალაძე;
- “ 3 ავტობუსის მარშრუტში გიორგი მიდელის ნაცვლად უნდა მიეთითოს გიორგი მინდელი;
- N59 ავტობუსის მარშრუტში ნიოლოზ ბარათაშვილის ნაცვლად უნდა მიეთითოს ნიკოლოზ ბარათაშვილი;
- N85 ავტობუსის მარშრუტში ლია ჭავჭავაძეს ნაცვლად უნდა მიეთითოს ილია ჭავჭავაძე;
- N106 ავტობუსის მარშრუტში ვეკუას ნაცვლად უნდა მიეთითოს ვახტანგ ვეკუა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **5;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის

ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

თედო ისაკაძე